ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2218343

ნომერი: AR1332401

თარიღი : 14.08.2015

გაცემის თარიღი : 30.09.2015

გაცნობის თარიღი : 30.09.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის , (ნაკვეთი 09/033) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ამირან წკრიალაშვილი პ/ნ 59001031338
- გორი რ.სტურუას ქ. N 18

ორგანიზაცია:
- პროდიუს ინვესტ კოდი: 417882496

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 14/08/2015წ. # AR1332401 განცხადებით მომართა ამირან წკრიალაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 03.04.2015წ. №1818583 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
როგორც მოგეხსენებათ, სამსახურის 25.08.2015 წლის №2156429 ბრძანებით, 14.09.2015 წლის #2185772, 18.09.2015 წლის #2196781, 22.09.2015 წლის #2202970, 24.09.2015 წლის #2207981 და 28/09/2015 წლის #2213413 გადაწყვეტილებებით დაგიდგინდათ ხარვეზი. კერძოდ, განგემარტათ, რომ გეგმებზე გამოტანილ ფართებში გასასწორებელია : 1. სარდაფის ფართობი; 2. საზაფხულო ფართები #49 და #58 ბინებში; 3. კ2–ის საანგარიშო ფართები. ასევე, განგემარტათ, რომ საჭიროა წარმოდგენილი ფართების ცხრილში #60 ბინის მაჩვენებლები და კიბის უჯრედის ფართების ასახვა.
განცხადება ხელახლა განხილვაზე შემოიტანეთ 29/09/2015 წელს თუმცა დადგენილი ხავეზები არ იქნა გამოსწორებული. აქედან გამომდინარე, 25.08.2015 წლის №2156429 ბრძანების საფუძველზე, თქვენი 14/08/2015წ. # AR1332401 განცხადება რჩება განუხილველი.
სამსახურის წინამდებარე გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
